დანართი №1

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების შეფასების ინდიკატორები და შეფასების წესი

მუხლი 1. რეგულირების სფერო

ეს წესი არეგულირებს სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის (შემდგომში - უნივერსიტეტი) საგანმანათლებლო პროგრამების (შემდგომში - პროგრამა) განხორციელების შეფასების პროცესს, რომლის საფუძველზეც უნდა მოხდეს უნივერსიტეტში საგანმანათლებლო პროცესის ძლიერი და გასაუმჯობესებელი მხარეების გამოვლენა, ვითარების გაუმჯობესების მიზნით შესაბამისი რეკომენდაციების შემუშავება, მათ საფუძველზე პროგრამის შემდგომი სრულყოფა, სწავლების ხარისხის გაუმჯობესება.

მუხლი 2. საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასების ინდიკატორები

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის (შემდგომში - უნივერსიტეტი) საგანმანათლებლო პროგრამების (შემდგომში - პროგრამა) განხორციელების შეფასება (შემდგომში - შეფასება) ხდება შემდეგი რაოდენობრივი და თვისებრივი ინდიკატორების გამოყენებით:

ა) პროგრამის სტუდენტების რაოდენობა (საერთო რაოდენობა, აქტიური, სტატუსშეჩერებული), მათ შორის საქართველოს მოქალაქე, უცხო ქვეყნის მოქალაქე, მამრობითი, მდედრობითი, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე პირი, სოციალურად მოწყვლადი, ქართულ ენაში მომზადების პროგრამის კურსდამთავრებული;
ბ) პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური და სამეცნიერო პერსონალის, მასწავლებლების და მოწვეული პერსონალის რაოდენობა;
გ) პროგრამის აქტიური სტატუსის მქონე სტუდენტებისა და პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის თანაფარდობა;
დ) პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური და სამეცნიერო პერსონალის, მასწავლებლების და მოწვეული პერსონალის თანაფარდობა;
ე) პროგრამის მონაწილე სტუდენტების გამოკითხვის შედეგები;
ვ) პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული პერსონალის, მასწავლებლების გამოკითხვის შედეგები;
ზ) პროგრამის კომპონენტებში სტუდენტების აკადემიური მოსწრების მაჩვენებელი;

თ) ფაკულტეტის/პროგრამის სტუდენტების სხვა ფაკულტეტზე/პროგრამაზე გადასვლის მაჩვენებელი (შიდა მობილობის მაჩვენებელი);
ი) ფაკულტეტის/პროგრამის სტუდენტების მობილობის/შიდა მობილობის მაჩვენებელი (ფაკულტეტიდან/პროგრამიდან გადასვლის და/ან ფაკულტეტზე/პროგრამაზე გადმოსვლის მაჩვენებელი);
კ) ფაკულტეტზე/პროგრამაზე აბიტურიენტების/მაგისტრანტობის კანდიდატების/დოქტორანტობის კანდიდატების რეგისტრირებული განაცხადების რაოდენობა;
ლ) პროგრამაზე ჩარიცხული სტუდენტებისა და ამავე პროგრამის კურსდამთავრებულთა თანაფარდობა;
მ) პრაქტიკის/სტაჟირების/სხვა სასწავლო კომპონენტის გავლის შემდგომ იმავე დაწესებულებაში სტუდენტთა/კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებელი (არსებობის შემთხვევაში);
ნ) პროგრამის კურსდამთავრებულთა დიპლომის საშუალო ქულა (GPA);
ო) სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში და/ან სამეცნიერო-კვლევით ცენტრებში მოღვაწე ქართველი და უცხოელი სპეციალისტების შეფასება (არსებობის შემთხვევაში);
პ) დამსაქმებელთა გამოკითხვის შედეგები;
ჟ) პროგრამის კურსდამთავრებულთა გამოკითხვის შედეგები;
რ) პროგრამის კურსდამთავრებულების პროგრამის პროფილის მიხედვით დასაქმების მაჩვენებელი;
ს) პროგრამის კურსდამთავრებულების არაპროფილურად დასაქმების მაჩვენებელი;
ტ) პროგრამის სტუდენტების დასაქმების მაჩვენებელი.

მუხლი 3. საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასების წესი

1. უნივერსიტეტში პროგრამის შეფასებას ახდენს უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ფაკულტეტების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან, უნივერსიტეტის და ფაკულტეტის სხვა სტრუქტურულ ერთეულებთან თანამშრომლობით.

2. პროგრამის შეფასების პროცესში მონაწილეობას იღებენ:
ა) სტუდენტები;
ბ) პროგრამის განხორციელებაში მონაწილე აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული პერსონალი და მასწავლებლები;
გ) სხვა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების და/ან სამეცნიერო-კვლევითი ცენტრების წარმომადგენლები - ქართველი და უცხოელი სპეციალისტები (საჭიროების შემთხვევაში);
დ) პოტენციური დამსაქმებლები;
ე) პროგრამის კურსდამთავრებულები;
ვ) პროფესიული ორგანიზაციების წარმომადგენლები და სხვ.

3. პროგრამის შეფასების პროცესში სტუდენტთა მონაწილეობა შეიძლება ითვალისწინებდეს:
ა) სტუდენტთა მიერ სასწავლო კურსების და/ან სასწავლო პროცესის შეფასების კითხვარის შევსებას;
ბ) პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებული საკითხების განხილვაში მონაწილეობას - საქმიანობას პროგრამის კომიტეტის ფარგლებში;
გ) ფოკუს-ჯგუფებში მონაწილეობას;
დ) ინტერვიუს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წევრებთან და სხვ.

4. პროგრამის განხორციელებაში მონაწილე პერსონალის მონაწილეობა შეფასების პროცესში შეიძლება ითვალისწინებდეს:
ა) სასწავლო კურსების კოლეგიალურ შეფასებას ერთმანეთის გამოცდილების გაზიარების მიზნით;
ბ) მონაწილეობას პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებული საკითხების განხილვის პროცესში - საქმიანობას პროგრამის კომიტეტის ფარგლებში;
გ) ინტერვიუს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წევრებთან და სხვ.

5. სხვა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების და/ან სამეცნიერო-კვლევითი ცენტრების წარმომადგენლების - ქართველი და უცხოელი სპეციალისტების მონაწილეობა შეფასების პროცესში შეიძლება ითვალისწინებდეს:
ა) სასწავლო კურსების კოლეგიალურ შეფასებას ერთმანეთის გამოცდილების გაზიარების მიზნით;
ბ) საგანმანათლებლო პროგრამის სრულყოფასთან დაკავშირებულ განხილვებსა და დისკუსიებში მონაწილეობას - საქმიანობას პროგრამის კომიტეტის ფარგლებში;
გ) საგანმანათლებლო პროგრამის კოლეგიალურ შეფასებას;
დ) სტუდენტების საკვალიფიკაციო ნაშრომების რეცენზირებას და სხვ.

6. პოტენციური დამსაქმებლების მონაწილეობა შეფასების პროცესში შეიძლება ითვალისწინებდეს:
ა) პროგრამის მონაწილე სტუდენტების/კურსდამთავრებულების კვალიფიკაციის, შრომის ბაზრისთვის მათი მომზადების დონის შეფასებას. კერძოდ, ისინი შეიძლება აფასებდნენ სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა თეორიულ ცოდნას და პრაქტიკაში მისი გამოყენების უნარებს. შეფასება შეიძლება განხორციელდეს: ა) კითხვარების საშუალებით; ბ) ინტერვიუს გზით; გ) სტუდენტთა დახასიათებით; დ) სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენციების მოხსენებების, საბაკალავრო და სამაგისტრო, სადოქტორო ნაშრომების შეფასებით და სხვ.

7. პროგრამის კურსდამთავრებულები პროგრამას შეიძლება აფასებდნენ:
ა) კითხვარების საშუალებით;
ბ) ინტერვიუს გზით და სხვ.

8. პროგრამის შეფასების ინდიკატორებთან დაკავშირებულ ინფორმაციას აგროვებენ: უნივერსიტეტის და ფაკულტეტების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურები ფაკულტეტებისა და უნივერსიტეტის შესაბამისი კომპეტენციის სტრუქტურულ ერთეულებთან თანამშრომლობით. აღნიშნულ პროცესს კოორდინირებას უწევს უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური.

9. პროგრამის შეფასება ხდება რაოდენობრივი და თვისებრივი ინდიკატორების ურთიერთშეჯერებისა და ანალიზის საფუძველზე.

10. პროგრამის შეფასების შედეგად ფაკულტეტების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურები უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან თანამშრომლობით შეიმუშავებენ რეკომენდაციებს პროგრამის განხორციელების შემდგომი სრულყოფის მიზნით. რეკომენდაციები წარედგინება საგანმანათლებლო პროგრამების კომიტეტებს, ფაკულტეტებისა და აკადემიურ საბჭოებს.

11. პროგრამების განხორციელების შეფასება ხდება სასწავლო წლის დასასრულს. პროგრამების განხორციელების შეფასების შედეგები ეცნობება პროგრამების კომიტეტებს, ფაკულტეტებისა და აკადემიურ საბჭოებს არა უგვიანეს მომდევნო სასწავლო წლის 30 დეკემბრისა, ხოლო პროგრამების განხორციელების შეფასების შედეგად საგანმანათლებლო პროგრამებში ცვლილებები (საჭიროების შემთხვევაში) ხორციელდება არა უგვიანეს 30 მაისისა.